ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-0118135621**

თარიღი: **15.05.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი
ლევან ქარჩავა
პირადი ნომერი: 62006054908
მისამართი: გალი ჯანაშიას ქ. N 10 ბ. 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური გაეცნო თქვენს AR1589975 (30.03.2018) განცხადებას, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N6გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N 01.14.05.008.332) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის ცვლილებას სპეციალური ზონა 1-ით პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მეათე პუნქტის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება / დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის შესაბამისად ახორციელებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული.

განაშენიანების რეგულირების წესების მეცხრე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, ფუნქციური ზონის ცვლილება /დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე დაინტერესებული პირის განცხადებას უნდა დაერთოს განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კვლევა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პერიმეტრზე (მიწის ნაკვეთის 50 მეტრის პერიმეტრზე). საკითხის განსახილველად წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- წინასაპროექტო კვლევის PDF ფაილი;
- არსებული ფუნქციური ზონა/ზონები;
- მოთხოვნილი ფუნქციური ზონა/ზონები;
- აეროფოტოგადაღების PDF ფაილი;
- მიწის ნაკვეთის ან/და ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმის PDF ფაილი;
- მიწის ნაკვეთის ან/და ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმის CAD ფაილი;
- ფოტოფიქსაციის PDF ფაილი;
- ფუნქციური ზონის ცვლილების მიზნის დასაბუთება;
- არსებობის შემთხვევაში წარმომადგენლის მინდობილობის/რწმუნებულების PDF ფაილი;
- საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა თანხმობის PDF ფაილი;
- ფუნქციური ზონების ცვლილების/დაზუსტების წინადადების SHP ფაილი.

განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, ფუნქციური ზონების

ცვლილების/დაზუსტების შესახებ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით დაინტერესებული პირი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილზე განათავსოს საინფორმაციო დაფა (მინიმალური გაბარიტი – A2 ზომის ფორმატი), რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ინფორმაციას განსახილველი ტერიტორიის არსებული და შემოთავაზებული ფუნქციური ზონის შესახებ;
- ინფორმაციას დაინტერესებული პირის შესახებ, მათ შორის, საკონტაქტო მონაცემებს;
- ფუნქციური ზონების ცვლილების/დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანასა და ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს/ორგანოების დასახელებას, მისამართსა და ვებგვერდის მისამართს, სადაც შესაძლებელია ობიექტის ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე ინფორმაციის გაცნობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის მიერ ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N6გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N 01.14.05.008.332) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის სპეციალური ზონა 1-ით ცვლილების საკითხის განხილვის მიზნით, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი AR1589975 (30.03.2018) განცხადება დარჩება განუხილველი.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი